საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№16/791-17 "16" 03 2017 წ.

ინდ. მეწარმე „დავით გოდერძიშვილს"

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2017 წლის 30 მარტს 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, სადაც განიხილება ინდ. მეწარმე „დავით გოდერძიშვილის" ავტორიზაციის შეჩერების საკითხი.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19[1] მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ავტორიზაცია საკუთარი ინიციატივით, თუ ავტორიზებული პირი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ერთობლივად:

ა) არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას;

ბ) არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას;

გ) არ იხდის რეგულირების საფასურს;

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი: სამსახურებრივი ბარათი - 4 ფურც.

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის თავმჯდომარე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და

ნებართვების დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ მ. ქადეიშვილს

ამავე აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის

სპეციალისტის ნ. ამირიძის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო მაია,

კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს წარმოებაში აქვს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათი (N10/1404-17, 12.02.2017), რიგი ავტორიზებული პირების თაობაზე, საიდანაც ირკვევა, რომ:

1. ი/მ „დავით გოდერძიშვილს" არ აქვს კომისიაში წარმოდგენილი 2012 წლის დეკემბრის თვიდან 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმები, ხოლო ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ზეპირი განმარტებიდან ირკვევა, რომ კომპანიას 2014 წლის ოქტომბრის თვიდან არ წარმოუდგენია სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები;
2. შპს „Compatel Limited"-ს არ აქვს კომისიაში წარმოდგენილი 2012 წლის დეკემბრის თვიდან 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით რეგულირების საფასურის გაანგარიშებები, არ აქვს ჩარიცხული რეგულირების საფასური, ხოლო ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ზეპირი განმარტებიდან ირკვევა, რომ კომპანიას 2013 წლიდან 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით წარმოდგენილი აქვს კომისიაში ნულოვანი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები და კომპანია არც ერთ სხვა ავტორიზებულ პირთან კონტრაქტენტ ოპერატორად არ ფიქსირდება;
3. შპს „ინფო ცენტრს" არ აქვს კომისიაში წარმოდგენილი 2012 წლის აგვისტოს თვიდან 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით რეგულირების საფასურის გაანგარიშებები, არ აქვს ჩარიცხული რეგულირების საფასური, ხოლო ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ზეპირი განმარტებიდან ირკვევა, რომ კომპანიას 2012 წლის

Ø/Ø 2105.17
2.03.17
2+2

აპრილის თვიდან 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით წარმოდგენილი აქვს კომისიაში ნულოვანი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები;

4. შპს „Smart line"-ს კომისიაში არ წარმოუდგენია 2014 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით რეგულირების საფასურის გაანგარიშებები, არ განუხორციელებია რეგულირების საფასურის ჩარიცხვები, ხოლო ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ზეპირი განმარტებიდან ირკვევა, რომ კომპანიას 2014 წლის აგვისტოს თვიდან 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით წარმოდგენილი აქვს კომისიაში ნულოვანი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები;
5. ი/მ „გელა ბარაბაძე W M C"-ს კომისიაში არ წარმოუდგენია 2013 წლის ივლისიდან 2016 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით რეგულირების საფასურის გაანგარიშებები, არ განუხორციელებია რეგულირების საფასურის ჩარიცხვები, ხოლო ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ზეპირი განმარტებიდან ირკვევა, რომ კომპანიას ავტორიზაციის გავლის დღიდან არ შეუვსია სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები;

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19[1] მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ავტორიზაცია საკუთარი ინიციატივით, თუ ავტორიზებული პირი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ერთობლივად: ა) არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას; ბ) არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას; გ) არ იხდის რეგულირების საფასურს.

ვინაიდან, კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისა და კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის განმარტებებიდან გამომდინარე არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ზემოაღნიშნული კომპანიები ერთ წელზე მეტი ხანია არ ასრულებენ მათზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს და არ საქმიანობენ, მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19[1] მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნატის შესაბამისად, მითითებულ კომპანიებს შეუჩერდეთ ავტორიზაცია.

პატივისცემით,
ნინი ამირიძე
2/03/2017

[illegible]

[illegible]

აგირეგისათვის

ვ. აბაშიძე
14.02.2017წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს,
ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის წამყვანი სპეციალისტის,
ნატალია ჯანელიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ვახტანგ,

კომისიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათის (N10/630-17, 23.01.2017) საფუძველზე, გადმოგვცა კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი (10/971-17, 31.01.17), რომლის თანახმადაც დამატებით და დეტალურად წარმოგიდგენთ ინფორმაციას (იხ. დანართი) რიგი იურიდიულ/ფიზიკურ პირებზე კომისიაში წარმოსადგენი რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებების და დავალიანებების შესახებ.
გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეთ კომისიის აპარატის შესაბამის დეპარტამენტს/სამსახურს. ინფორმაციას დანარჩენი იურიდიულ/ფიზიკური პირების შესახებ წარმოგიდგენთ ეტაპობრივად.

დაწართი: 01 ფურცელი, 01 ეგზ.

პატივისცემით,

ნატალია ჯანელიძე
14/02/17

ZI0/1404.17
14 02 17
141

N№	ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა	კომპანიის დასახელება	ს/ კ	წარმოდგენილი რეგულირების ფოლადწლიური საფასურის გადასარიცხების პერიოდები	რეგულირების საფასურის დაანგარიშება წარმოდგენილი გადასარიცხების პერიოდის ბრუნვიდან ან/	ბრუნვიდან ერიცხება რეგულირების საფასური ლარში	საქონლის ფასი/ ტარიფი ლარში	შენიშვნა
1	შპს	GLOBAL»	415590346	2012 წლის დეკემბრიდან - 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით				N 517 / 16 ოქტომბერი, 27 2015- ფიზიკურად
2	შპს	best net	439861874	2012 წლის აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი		2.32		
3	შპს	lidernet	439862141	2013 წლის ივნისი		9.49		
4	შპს	Netflex ბუღალტერი	400036402	2014 წლის თებერვალი, 2015 წლის ნოემბერი, 2016 წლის მარტი		54.04		
5	იმ	დავით ბაგრატიონი	31001006409	2012 წლის დეკემბრიდან - 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით				
6	შპს	Comparel Limited	7456831	2012 წლის დეკემბრიდან - 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით				
7	შპს	ობელი ტელეკომი	404427241	2012 წლის აგვისტოდან - 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით				N 657 / 16 ნოემბერი, 01 2013-ფიზიკურად
8	იმ	თეიმურაზი ბუღალტერი	31001015252	2014 წლის მარტიდან-2016 წლის დეკემბრის ჩათვლით	9.93			
9	შპს	BOATEXPRESS	404876817	2013 წლის ივნისიდან - 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით		179.07		
10	შპს	ბინი მაგი	206343875	2014 წლის აგვისტოდან-2016 წლის დეკემბრის ჩათვლით				
11	შპს	netdyon	454407614	2013 წლის ოქტომბერი		18.32		
12	შპს	Smart line	404434741	2014 წლის ოქტომბრიდან - 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით		0.33		
13	იმ	ფელა ბარამიძე W M C	61001032290	2013 წლის აპრილიდან-2016 წლის დეკემბრის ჩათვლით				
14	შპს	სკაიტელეკომი-Skytelecom LTD	404984610	2013 წლის მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი-2016 წლის ივნისიდან-დეკემბრის ჩათვლით		41.09		N 73 / 18 თებერვალი, 06 2014-ფიზიკურად
15	შპს	MAXNET	439393390	2013 წლის მარტი		9.12		